დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს სკოლა-ლიცეუმი"ცისაკარი"

შეფასების თარიღები: 16-17.07.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 04.08.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს სკოლა=ლოცეუმი"ცისაკარი"
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	200275549

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	ქალაქი თბილისი, ჩოდრიშვილის ქ., #42
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, ჩარგლის ქ., #34
საფოსტო ინდექსი	0192
დაწესებულების ვებ-გვერდი	http://cisakari.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	cisakari@mail.ru
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	2611332
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ნინო ჭოხონელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599585696
ელ-ფოსტა	ekaana13@yahoo.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	ბრძანება, MES 4 20 00410792, 27.05.2020
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2020 წლის 16 და 17 ივლისი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ნოდარ ანგურიძე
წევრი (სახელი, გვარი)	მარინა სეხნიაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	*ა) სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ დოკუმენტების წარმოებისას გამოიჩინოს მეტი ყურადღება, კერძოდ დღის რეჟიმთან, საათობრივ ბადესთან და VII კლასის შემაჯამებლების რაოდენობასთან დაკავშირებით; ასევე დოკუმენტებში ასახოს ის რასაც ახორციელებს, კერძოდ შიდასასკოლო გამოცდა, რომელიც სადიაგნოსტიკო წერა უფროა ვიდრე გამოცდა. * *ბ) სპორტის სწავლებასთან დაკავშირებით მიეცა რეკომენდაცია, რომ დაწყებით საფეხურზე ისწავლება ფიზიკური აღზრდა, ხოლო საბაზო/საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდა და სპორტი;* * *გ) არჩევითი საგნების სწავლებისას გაითვალისწინოს არჩევითი საგნის მოდულების რაოდენობა და სემესტრულად სწავლება*
	1.2.	*.....*
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	*.....*
	2.2.	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ გამოჯნოს დაწყებითი საფეხურის სველი წერტილები სქესის მიხედვით*
	2.5	*ხშირად განხორციელდეს ვებ-გვერდის განახლება და ასევე, ვებ-გვერდზე განთავსდეს*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		ყველა საჭირო სასკოლო დოკუმენტაცია.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.4.*	*ხელშეკრულებებში ჩაიწეროს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნები - შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები“*
	3.5	*ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ისეთი მიმართულებებიც, როგორიცაა დამრიგებელთა პროფესიული განვითარება, ან სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარება;*

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითიამონიტორინგის მიზნით ჩატარებული ე.წ. „შიდასასკოლო გამოცდა“. მართალია, ჩანაწერი შიდასასკოლო გამოცდა არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, მაგრამ სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ამ დროს, ხშირ შემთხვევაში ნიშნები არ იწერება (და თუ იწერება, მიმდინარე ნიშნის სტატუსით) და შედეგებს იყენებენ სასწავლო პროცესის შემდგომი დაგეგმვისა და კორექტირებისთვის. არაფორმალური განათლების კუთხით სკოლის საუკეთესო პრაქტიკაა თოჯინების თეატრის არსებობა, რომლის მსახიობები, დეკორაციების შემქმნელები I-VI კლასის მოსწავლეები არიან.

დაწესებულების მისია	სკოლა ლიცეუმ ”ც ი ს ა კ ა რ ი ს” მისიაა აღზარდოს უსაფრთხო პოზიტიურ სასწავლო - სააღმზრდელო გარემოში შემოქმედებითი, ტოლერანტული და ჰარმონიულად განვითარებული სამოქალაქო ცნობიერების მქონე პიროვნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლა ემსახურება ბავშვების ზნეობრივ აღზრდასა და მათთვის საფუძვლიანი განათლების მიცემას. მოსწავლეებს სთავაზობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო გარემოს, ჯანსაღი სულიერი და ფიზიკური განვითარების შესაძლებლობებს, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების ზიარებას, რაც მიიღწევა მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგიური მომსახურეობითა და თანამშრომელთა პირადი მაგალითით, სასწავლო პროგრამებით და ღონისძიებებით, მოსწავლის ოჯახთან და მსგავსი მიზნების მქონე დაწესებულებებთან თანამშრომლობით, რათა სკოლის კურსდამთავრებულმა მიღებული ცოდნა და აღზრდა გამოიყენონ წარმატებული ცხოვრებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდ.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: ----270----------	☐	*თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☒	სკოლაში არსებული საკლასო ოთახების (14) რაოდენობიდან გამომდინარე და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საჭიროების შემთხვევაში, მოქმედი კაბინეტებს სკოლა დატვირთავს საკლასო ოთახებად, რომლებშიც მერხების რაოდენობა იქნება 15-15, (სკოლის სურვილია ერთ კლასში იყოს არაუმეტეს 15 მოსწავლისა) სკოლის მაქსიმალურმა შესაძლობლობამ შესაძლოა, მიაღწიოს 255 მოსწავლის ერთდროულ მომსახურეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა-ლიცეუმ "ცისაკარს" გასული სასწავლო წლის SWOT ანალიზის საფუზველზე, შემუშავებული აქვს 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე. **სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:** • სკოლის მისია; • ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია საფეხურების მიხედვით; • სასწავლო წლის კალენდარი; • დღის რეჟიმი; • სასკოლო საათობრივი ბადე; • გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; • საგნობრივი კათედრები; • ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; • ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა; • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა); • ინკლუზიური განათლება; • სადამრიგებლო პროგრამა. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, დაწყებით (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები) საფეხურზე. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია საფეხურების მიხედვით** სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. **სასწავლო წლის კალენდარი:** • სასწავლო წლის კალენდარი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან; • სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტერს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები; • სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია 2019-2020 სასწავლო წლის არდადეგების (საშობაო, საგაზაფხულო და სააღდგომო) დაწყება-დამთავრების თარიღები; • სასწავლო კვირა ხუთ დღიანია. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა დასაშვებად მიიჩნევს 6 დღიან სწავლებასაც და გეგმაში მითითებულია, თუ რა შემთხვევაში. **დღის რეჟიმი** • გეგმაში მითითებულია გაკვეთილების ხანგრძლივობა კლასების მიხედვით: I კლასში 35 წუთი, II კლასში - 40 წუთი, III-XII კლასებში კი 45 წუთი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• აღნიშნულია, რომ სკოლამ ხანმოკლე ვადით შეიძლება შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა და მითითებულია, თუ რა შემთხვევაში; • გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობაა 5 წუთი, მესამე და მეოთხე გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა შეადგენს 20 წუთს (საშუალო და საბაზო საფეხურისთვის), ხოლო დაწყებითი საფეხურისთვის მეოთხე-მეხუთე გაკვეთილებს შორის; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადმოგზავნილ სასკოლო სასწავლო გეგმაში I-IV კლასებისთვის გაკვეთილების დაწყება-დამთავრების განრიგი არეულია; XII კლასისთვის კი საერთოდ არ არის წარმოდგენილი გაკვეთილების დაწყება-დამთავრების განრიგი. ვიზიტის დროს ადგილზე დოკუმენტაციის გაკვეთილების დაწყება-დამთავრების განრიგის, გაკვეთილების ცხრილის გაცნობით ირკვევა, რომ სკოლაში მეცადინეობა იწყება 9^{30} საათზე (მათ შორის მე-12 კლასისთვისაც) და მთავრდება 15^{30} საათზე. სკოლას ყველა კლასში დამატებული აქვს საგაკვეთილო საათები, ამიტომ მოსწავლეებს სთავაზოს კვებას და წარმოდგენილია დოკუმენტი - მოსწავლეთა კვების რეჟიმი, რომლის თანახმადაც სხვადასხვა საფეხურის მოსწავლე სხვადასხვა დროს სადილობს. პანდემიასთან დაკავშირებით, სკოლა გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე, რის შესახებაც სკოლამ გადაწყვეტილება მიიღო პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი #3), სასწავლო წლის დასრულების შემდეგ კი პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი #4) მოახდინეს დისტანციური სწავლების შედეგების შეჯამება (დანართი 1); სკოლამ დისტანციური სწავლება წარმატებით რომ განახორციელა, ამაზე მეტყველებს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი ელექტრონული დავალებები, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრება. მშობლებმა აღნიშნეს, რომ ისედაც მცირე რიცხოვანი კლასები გაყოფილი იყო და დისტანციური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სწავლება მიმდინარეობდა 4-5 მოსწავლესთან, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური მეცადინეობაც უტარდებოდათ. **სასკოლო საათობრივი ბადე:** სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N2 სახით თან ერთვის სასკოლო საათობრივი ბადე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადმოგზავნილ დოკუმენტს აწერია „მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა“, თუმცა სინამდვილეში იგი არის საათობრივი ბადე. ამ დოკუმენტში შეიმჩნევა შემდეგი ხარვეზები: 1) მე-7 კლასში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლებია ჩაწერილი ბიოლოგიისა და ფიზიკის ნაცვლად; 2) წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით მე-7 კლ.-ში არ ისწავლება მოქალაქეობა; 3)არ აქვთ კლასების მიხედვით წლიური საათობრივი დატვირთვა დაჯამებული. ადგილზე დოკუმენტების - საათობრივი ბადის, გაკვეთილების ცხრილისა და საკლასო ჟურნალების - გაცნობით ირკვევა, რომ მე-7 კლასში ისწავლება სამოქალაქო განათლება. ბიოლოგია და ფიზიკა (დანართი #2- საათობრივი ბადე და დანართი#3- მე-7 კლასების საკლასო ჟურნალის შესაბამისი გვერდების ქსეროასლები), ამასვე ადასტურებს ცენტრში გამოგზავნილი სკოლის მიერ არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, კერძოდ სახელმძღვანელოების ნუსხაში მე-7 კლასში არის შერჩეული ფიზიკის, ბიოლოგიის და მოქალაქეობის სახელმძღვანელოები. საბაზო-საშუალო საფეხურზე სპორტის სახეობების ჩამონათვალიდან სკოლამ აირჩია სამი სახეობა: ფეხბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ცვლილებებს სპორტის შესახებ. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 11.05.2018წ.). წარმოდგენილია ჭადრაკის, ფეხბურთისა და კალათბურთის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თემატური გეგმები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია: 1-6 კლ.-ში უნდა ისწავლებოდეს ფიზიკური აღზრდა, ხოლო მე-7-12 კლასში - ფიზიკური აღზრდა და სპორტი; თემატური გეგმები უნდა გამომდინარეობდეს საგნობრივი სტანდარტიდან და თითოეული კლასისთვის ცალკე უნდა იყოს შედგენილი. **გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით:** **დოკუმენტებში წარმოდგენილია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა.** სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N4 სახით თან ერთვის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომელიც გამოყენებულია 2019-2020 სასწავლო წელს. **საგნობრივი კათედრები:** სკოლაში 6 საგნობრივი კათედრა ფუნქციონირებს: • სახელმწიფო ენის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლები და არჩევითი საგნის ფოლკლორი და მითოლოგია მასწავლებლები; • მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის და ისტ-ის მასწავლებლები; • საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბუნებისმეტყველების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლების, ბიოლოგიის, ქიმიისა ფიზიკის და არჩევითი საგნის (სამედიცინო ბიოლოგია) მასწავლებლები; • საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების, მოქალაქეობის და სამოქალაქო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განათლების, რელიგიის ისტორიის მასწავლებლები; • უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (რუსულის) მასწავლებლები; • ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის და სპორტის მასწავლებლები. სკოლაში არსებული ყველა კათედრის მუშაობა ასახულია ელექტრონულ პორტფოლიოებში, რომელიც, მოიცავს: კათედრის დებულებას, კათედრის სამოქმედო გეგმას, სხდომის ოქმებს, კათედრის წევრთა და კათედრის ხელმძღვანელის სემესტრულ და წლიურ ანგარიშებს, გაკვეთილებზე პედაგოგების ურთიერთდასწრების განრიგს, საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს, თემატურ-კალენდარულ გეგმებს, შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშებსა და მათი შეფასების რუბრიკებს, შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის ფორმებს. **ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა.** ამ მხრივ, სკოლის მოსწავლეთა საჭიროებებისა და სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით, 2019-2020 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებას. საათობრივ ბადეში მითითებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არჩევითი საგნები (სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა, ფოლკლორი და მითოლოგია), რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის დაფიქსირებული. არჩევით საგნებთან დაკავშირებით არის ხარვეზი. კერძოდ, ერთმოდულიან და ორსემესტრიან არჩევით საგანს - ფოლკლორი და მითოლოგია - ასწავლიან მე-12 კლასში ერთ სემესტრში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რეკომენდაცია: სასურველია, სკოლამ - 1) გაითვალისწინოს შერჩეული არჩევითი საგანი ერთმოდულიანია თუ ორმოდულიანი, ერთ სემესტრში ისწავლება თუ ორ სემესტრში; 2) მოსწავლეებს შესთავაზოს არჩევითი საგანების უფრო მეტი მრავალფეროვნება. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას სავალდებულო საგნის სახით სკოლა I-VIII კლასებს სთავაზობს რელიგიების ისტორიასა და კულტურას. სკოლა მე-12 კლასელებს ფაკულტატური კურსის სახით სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში, რომლის მიზანია მოსწავლეების ამ საგნებში ეროვნული გამოცდებისათვის მომზადებაში დახმარება. სკოლა დამატებითი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო მომსახურების მიზნით სთავაზობს წრეებს: ჭადრაკის წრე, ხატვის წრე, თეატრალური და სამოქალაქო წრეები (დანართი 4). სკოლაში ფუნქციონირებს თოჯინების თეატრის მუდმივმოქმედი დასი, რომელსაც დაწყებითების პედაგოგი ხელმძღვანელობს. ბავშვები თვითონ ქმნიან სპექტაკლებისთვის დეკორაციებს, თოჯინებს და თვითონვე ახმოვანებენ. ხშირად სპექტაკლების სცენარები გამომდინარეობს სასკოლო პროგრამიდან. **მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N3 სახით თან ერთვის შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით. ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტში არ იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მითითებული შემაჯამებელი სამუშაოების რაოდენობა მე-7 კლასში, თუმცა ადგილზე შესაბამისი დოკუმენტის გაცნობით აღმოჩნდა, რომ მე-7 კლასისთვისაცაა განსაზღვრული შემაჯამებელი სამუშაოების რაოდენობა. **შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი** შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი: მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ. სასკოლო სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ „შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია: სასურველია, რომ უფრო დაკონკრეტდეს გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადა. **გამოცდის ტიპები** ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2019-2020 სასწავლო წელს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები: ❖ სემესტრული გამოცდა; ❖ საშემოდგომო გამოცდა; ❖ ექსტერნატის გამოცდა; ❖ შიდასასკოლო გამოცდა (მონიტორინგის მიზნით) დირექციის წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ „შიდასასკოლო გამოცდას“ იყენებენ მხოლოდ სასწავლო პროცესის მონიტორინგისთვის: გამოცდის შედეგების ანალიზის საფუძველზე ადგენენ სასწავლო პროცესის ეფექტურობის დონეს, რასაც ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომ დაგეგმვაში. მასწავლებლებმა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ხშირ შემთხვევაSი ამ აქტივობაში ქულები არ იწერება. სკოლას მიეცა რჩევა, რომ ფორმულირება „შიდასასკოლო გამოცდა“ შეცვალონ ტერმინით: შიდასასკოლო წერები“. **სადამრიგებლო პროგრამა** სამივე საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს ემსახურება დაწესებულების მიერ შემუშავებული სადამრიგებლო პროგრამაც. დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობა, რომელიც ასევე შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, ემყარება შემდეგ პრინციპებს,: სრულფასოვანი აღზრდა; მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა; მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება; თანამშრომლობის პრინციპი. 2019-2020 სასწავლო წლის დამრიგებელთა დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დამრიგებლები კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, წინასწარ გეგმავენ შეხვედრებსა და ღონისძიებებს. მიმდინარეობს საუბრები მოსწავლეებთან; დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით; ეწყობა სხვადასხვა ღონისძიება, ექსკურსიები და ლაშქრობები. დამრიგებლები აქტიურად თანამშრომლობენ მოსწავლეთა მშობლებთან და საგნის პედაგოგებთან. შემუშავებული აქვთ კლასის საათის გეგმა, რომლის ფარგლებში დამრიგებელი, მოსწავლის ასაკის შესაბამისად, მუშაობს სხვადასხვა უნარის, დამოკიდებულებების განვითარებაზე შესაბამისი აქტივობის მეშვეობით. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული IX და XI კლასებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა, მაგრამ ამ კლასებში პროგრამით დასაფარი საკითხები ინტეგრირებულია სადამრიგებლო საათთან და სადამრიგებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროგრამით არის გათვალისწინებული ეს საკითხები. **ინკლუზიური განათლება** სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების პროგრამა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლებიც სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • საათობრივი ბადე; • გაკვეთილების ცხრილი; • საკლასო ჟურნალები; • კათედრისა და მასწავლებლების პორტფოლიოები; • პედაგოგიური საბჭოს ოქმები; • სადამრიგებლო პროგრამები; • მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოები; • წრეების მუშაობის ამსახველი ფოტო და ვიდეო-მასალა; • ინტერვიუირება ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მშობლებსა და მოსწავლეებთან; • დანართი #1 - პედაგოგიური საბჭოს ოქმი #3 და #4 (4 გვერდი); • დანართი #2 - სკოლის საათობრივი ბადე (2 გვერდი); • დანართი #3 - მე-7 კლასის საკლასო ჟურნალის გვერდების ქსეროასლები (30 გვერდი); • დანართი #4 – „სტანდარტზევით მომსახურების სრული პაკეტი“ (1 გვერდი).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ის სრულად პასუხობს ყველა საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს. დირექციის წარმომადგენლებთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებმა გვაჩვენა, რომ მათ აქვთ შესწავლილი ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა და გააზრებული აქვთ ის მოთხოვნები, რომლებსაც სახელმწიფო უყენებს დღევანდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. კათედრების და მასწავლებლების პორტფოლიოების შემოწმებამ ასევე დაგვანახა, რომ ისინი ახორციელებდნენ მრავალფეროვან აქტივობებს, თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ასევე მოსწავლეებთან. აანალიზებდნენ შესრულებულ სამუშაოს და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე გეგმავენ საგაკვეთილო პროცესს. სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებია გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსების შერჩევის დროსაც და სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები და სხვ.) ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის. სკოლა ბიუჯეტის ფარგლებში უზრუნველყოფს დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსებით, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებებით (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა). რესურსები შერჩეულია სხვადასხვა კლასის მოთხოვნების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • პედაგოგების პორტფოლიოები; • კათედრების პორტფოლიოები; • კათედრის თავმჯდომარეების ანგარიშები; • კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა-ლიცეუმ „ცისაკარის“ სასკოლო სასწავლო გეგმის, წინა სასწავლო წლის SWOT ანალიზის, მასწავლებლების და კათედრების პორტფოლიოების, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ისგ-ს ჯგუფის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში თანაბრად ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროცესი ყველა მოსწავლისათვის და ყველა მათგანისთვის უზრუნველყოფილია განვითარების თანაბარი შესაძლებლობა. ამავეს ადასტურებს სკოლის ინკლუზიური განათლების კონცეფცია და ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელიც შედგენილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სწავლების და შეფასების პრინციპების გათვალისწინებით. სკოლას ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე. სკოლას შექმნილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი - ისგ ჯგუფი, რომლის მონაწილეობით შედგენილია სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სხვადასხვა საგანში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლას არ ჰყავს სპეციალური პედაგოგი, მაგრამ სსსმ მოსწავლის დამრიგებელს გავლილი აქვს ტრენინგ-მოდული ინკლუზიური განათლების მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • სადამრიგებლო პროგრამა; • სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების პროგრამა; • ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; • ფსიქოლოგის ანგარიში; • ისგ-ჯგუფის ანგარიში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	2019-2020 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა შემუშავებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოვლენას. განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და პირობები, ნიშნის გამოანგარიშების წესი, კლასიდან კლასში, საფეხურიდან საფეხურზე გადაყვანის წესები, სემესტრული ნიშნის გამოყვანის წესები და სხვა. მასწავლებელთა და კათედრის პორტფოლიოების დათვალიერებამ აჩვენა, რომ მასწავლებლები მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას ამოწმებენ შემაჯამებელი დავალებებით. შემაჯამებელი დავალებების სახეებიდან იყენებენ ტესტურ დავალებებს, ამოცანის ამოხსნას მათემატიკაში, ქიმიასა და ფიზიკაში. ტესტურ დავალებებში როგორც დახურული, ისე ღია დაბოლოებიანი დავალებები, აფასებს მაღალ სააზროვნო უნარებსაც. თითოეული შემაჯამებელი დავალებისთვის მითითებული აქვთ საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი შედეგი/შედეგები, მოცემულია შეფასების რუბრიკები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არის ზოგადი, არ არის მითითებული შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები. შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს აკეთებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის მიერ შემუშავებულ ერთიან ზოგად ფორმაში. შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია კლასის საერთო პრობლემებზე და ზოგადი მითითებებია ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე, მაგრამ ადგილზე მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების გაცნობით ირკვევა, რომ მასწავლებლებს მოსწავლის თითოეულ ნაშრომზე გაკეთებული აქვთ ვრცელი განმავითარებელი კომენტარი (დანართი #5), რომელშიც ნათლად არის გამოკვეთილი მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, თუმცა რეკომედაციები სუსტი მხარის გამოსწორების გზების შესახებ ხშირად ზოგადი და ბუნდოვანია. მასწავლებლებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ყოველი შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების შემდეგ ყველა მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს შედეგებს, ზეპირსიტყვიერად ეძლევა ყოველ მოსწავლეს უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს ინდივიდუალურად უტარდება დამატებითი მეცადინეობები სუსტი მხარის გამოსწორების მიზნით, ხოლო კლასის საერთო პრობლემის დაძლევის მიზნით ტარდება დამატებითი გაკვეთილები პრობლემის დაძლევამდე. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესზე მიმდინარე მონიტორინგისა და შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის შედეგების საფუძველზე გეგმავენ ცვლილებებს სასწავლო პროცესში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკის, ანალიზისა და განმავითარებელ კომენტარებთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენლებს მიეცათ რჩევები: შეფასების რუბრიკაში შეფასების კრიტერიუმი უნდა იყოს კონკრეტული და შეფასების მიზნის შესაბამისი, შემაჯამებელი დავალების ანალიზის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფორმატში, მოსწავლეთა ინდივიდუალურ ნამუშევრებზე გაკეთებულ კომენტარში მეტი აქცენტი გაკეთდეს მოსწავლის სუსტი მხარის გაუმჯობესების საშუალებებსა და გზებზე .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2019-2020 სასკოლო სასწავლო გეგმა; • მასწავლებლებისა და კათედრების პორტფოლიოები; • შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები; • გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციასთან; • დანართი #5 - შემაჯამებელ დავალებებზე განმავითარებელი შეფასების ნიმუშები (5 გვერდი).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტებითა და დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მშობლის სკოლაში გამოცხადებისა და მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. ამ წესის თანახმად მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ხორციელდება შემდეგი საშუალებებით: • ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით http://cisakari.ge/journal. გავეცანით ელექტრონულ ჟურნალში განთავსებულ ინფორმაციას, რომლის საშუალებით მშობელს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს თითოეულ საგანში მიცემულ საშინაო დავალებას, საშინაო დავალების შესრულების ინსტრუქციას, მიმდინარე განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, დისციპლინასთან დაკავშირებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საკითხებს; • თითოეული კლასისთვის კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ მშობელთა სოციალური ჯგუფები, სადაც განათავსებენ ისეთ დოკუმენტებს, როგორიცაა: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა; ასევე, ინფორმაციას კლასის საერთო საჭიროებების, პრობლემების, კლასგარეშე ღონისძიებების შესახებ და სხვ.; • მშობელთა კრებაზე; • მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს; • ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით; • საგნის მასწავლებელთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე (მასწავლებელი მშობელთან პირადი ურთიერთობის დროს, უფლებამოსილია მშობელს გააცნოს შვილის აკადემიური მოსწრება, მხოლოდ იმ სასწავლო საგანში რომელსაც ასწავლის). • მშობლის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სკოლას შექმნილი აქვს ვებ-გვერდი: http://cisakari.ge, სადაც განათავსებენ სხვადასხვა ინფორმაციას სასკოლო ცხოვრების შესახებ. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული მექანიზმები მშობელს უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენელთან; • შინაგანაწესი; • ელექტრონული ჟურნალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლის ვებ-გვერდი; • სადამრიგებლო პროგრამა; • დამრიგებლის პორტფოლიოები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, ამ დოკუმენტით განსაზღვრულია ვინ, ვის და რა პერიოდულობით აწვდის ინფორმაციას; დადგენილია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების კონკრეტული მეთოდოლოგია, შეფასების საგანი (1. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ანალიზის/შეფასების მიმართულებით; 2. მატერიალური რესურსების საკმარისობის/განვითარების მიმართულებით; 3. ადამიანური რესურსების მდგრადობის მიმართულებით) და პერიოდულობა. სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას უზრუნველყოფს: 1. სკოლის დირექტორი; 2. დირექტორის მოადგილეები; 3. საგნობრივი კათედრების თავმჯდომარეები. ვიზიტის დროს არსებული დოკუმენტაციის შესწავლისა და დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მუდმივად ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასწავლო გეგმის, სწავლების ხარისხის შეფასება. სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით, ხორციელდება დაკვირვება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგაკვეთილო პროცესზე. სკოლის ხარისხის მენეჯერის განმარტებით, აღნიშნული მონიტორინგი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მონაწილეთა საჭიროებების გამოვლენას, რაზე დაყრდნობითაც განისაზღვრება პრობლემების გადაჭრის გზები და არსებულ სასკოლო-სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა. მოსწავლეთა და მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა სკოლის ადმინისტარციას ეხმარება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით იქმნება ახალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო-სასწავლო გეგმაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გასაუბრება ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან; • კათედრების პორტფოლიოები; • სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომ გაუმჯობესების მექანიზმები; • სასკოლო სასწავლო გეგმით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	*1.1* *ა) სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ დოკუმენტების წარმოებისას გამოიჩინოს მეტი ყურადღება, კერძოდ დღის რეჟიმთან, საათობრივ ბადესთან და VII კლასის შემაჯამებლების რაოდენობასთან დაკავშირებით; ასევე დოკუმენტებში ასახოს ის, რასაც ახორციელებს, კერძოდ, შიდასასკოლო გამოცდა, რომელიც სადიაგნოსტიკო წერა უფროა, ვიდრე გამოცდა.* *ბ) სპორტის სწავლებასთან დაკავშირებით მიეცა რეკომენდაცია, რომ დაწყებით საფეხურზე ისწავლება ფიზიკური აღზრდა, ხოლო საბაზო/საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდა და სპორტი;* *გ) არჩევითი საგნების სწავლებისას გაითვალისწინოს არჩევითი საგნის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოდულების რაოდენობა და სემესტრულად სწავლება
რჩევები:	1.4 *შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკის, ანალიზისა და განმავითარებელ კომენტარებთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენლებს მიეცათ რჩევები მათი გაუმჯობესების: შეფასების რუბრიკაში შეფასების კრიტერიუმი უნდა იყოს კონკრეტული და შეფასების მიზნის შესაბამისი, შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმატში, მოსწავლეთა ინდივიდუალურ ნამუშევრებზე გაკეთებულ კომენტარში მეტი აქცენტი გაკეთდეს მოსწავლის სუსტი მხარის გაუმჯობესების საშუალებებსა და გზებზე .*
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მდებარეობაა თბილისი, ჩარგლის ქუჩა N34. იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სკოლა ფლობს მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა ნაგებობებს (იხ. დანართი 6, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან). იჯარის ხელშეკრულება დადებულია 27.07.2011 წ. და მოქმედებს 10 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ფიქსირდება ოთხი შენობა-ნაგებობა. რეალურად ოთხიდან სამი შენობა (N1 N2 და N3; იხ დანართი 7 შიდა აზომვითი ნახაზი) ერთი მთლიანი კომპლექსია, რომლებიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული და რომლებშიც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. მეოთხე შენობა (N4, იხ საკადასტრო გეგმა, დანართი 8) ცალკე მდგომია და წარმოადგენს სპორტულ დარბაზს. შენობათა საერთო ფართია 1250 კვ.მ.
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ჩარგლის ქუჩა N34
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**01.12.07.013.020**
კვ.მ.	**1250**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• დანართი 6 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან -, (ორ ფურცლად); • დანართი 7 - შიდა აზომვითი ნახაზი - (რვა ფურცლად); • დანართი 8 - საკადასტრო გეგმა - (ერთ ფურცლად).
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობებში 14 საკლასო ოთახი (მათ შორის 1 სარეზერვო), კომპიუტერული კლასი, მუსიკალური სტუდია, ბიბლიოთეკა, სამედიცინო ოთახო, ხელოვნების კაბინეტი, სამასწავლებლო, ქიმიისა და ფიზიკა-ბიოლოგიის ლაბორატორიები, ასევე, ოთახი თოჯინების თეატრის დეკორაციებისა და აქსესუარებისთვის, სატრაპეზო, დირექტორის კაბინეტი და სამდივნო. საკლასო ოთახებში და საწყობში განთავსებულია მოსწავლის 260

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინდივიდუალური სასკოლო მერხი და სკამი. გარდა ამისა საწყობში არის რესურსი (მერხებისა და სკამების კარკასები და დასაკრავი მასალა), რომ საჭიროების შემთხვევაში აიწყოს მერხები და სკამები. საკლასო ოთახებში გამოკრულია სხვადასხვა სახის სასწავლო რესურსი, პოსტერები, რუკები, მოსწავლეთა ნამუშევრები. შესყიდვის დოკუმენტაციით სკოლას უდასტურდება 280 მერხი და 300 სკამი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის დოკუმენტაცია - სასაქონლო ზედნადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელშიც დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები, სკოლას აქვს კალათბურთის ბურთები
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის დოკუმენტაცია - სასაქონლო ზედნადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ორი ლაბორატორიული კლასი, ერთი ქიმიისთვის, მეორე ფიზიკა-ბიოლოგიისთვის. ქიმიის ლაბორატორიულ კლასში არის ონკანი ნიჟარით, კედელზე გამოკრულია „ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესები მოსწავლეებისთვის“. სკოლას შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული კომპლექტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის დოკუმენტაცია - სასაქონლო ზედნადებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის (სს თელასი), წყლის (შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი) უწყვეტი მიწოდებით. სასკოლო ფართის გათბობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით. გაზის მიწოდება ხდება „თბილისი ენერჯის“ მიერ. სკოლაში სართულებზე არის 3-3 სველი წერტილი ცალკე გოგონებისათვის და ცალკე ვაჟებისათვის, ასევე სველი წერტილები პერსონალისათვის და დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის. საგულისხმოა, რომ დაწყებითი საფეხურის სველი წერტილით სარგებლობენ გოგონებიც და ბიჭებიც მორიგეობით მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ გამიჯნოს სველი წერტილები სქესის მიხედვით, რაზეც სკოლამ გამოთქვა მზაობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კომუნალური მომსახურეობის გადახდის ქვითრები; • გასაუბრება სკოლის წარმომადგენელთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის 1-ელ სართულზე, ერთ-ერთ ოთახში. ბიბლიოთეკარის ფუნქციებს ითავსებს სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	დირექტორი. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურის 1252 ერთეული. სასკოლო სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით - ბეჭდებითა და საინვენტარო ნომრებით. წიგნები გატარებულია საინვენტარო წიგნში. მკითხველებზე წიგნები გაიცება ბარათებით. სკოლას გამოწერილი აქვს პერიოდული გამოცემები: „ახალი განათლება“, “National Geographic”. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი ინტერნეტით და სივრცე სამკითხველოდ, სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საინვენტარო წიგნი; • ბიბლიოთეკის დებულება; • წიგნების შესყიდვის დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, კერძოდ, ერთი ადაპტირებული სველი წერტილი, შენობის სართულებზე გადაადგილებისათვის კი კიბეებზე დამონტაჟებული მეტალისგან დამზადებული ასაკეცი პანდუსები. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე, თუმცა, ის არ საჭიროებს ეტლით გადაადგილებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო მიზნების განხორციელებისთვის სკოლაში არის სხვადასხვა სახის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები: პრინტერები, პროექტორები და კომპიუტერები (24 ერთეული). კომპიუტერებიდან კომპიუტერულ კლასში განთავსებულია 15. გარდა ამისა კომპიუტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, სამედიცინო ოთახში, ადმინისტრაციაში. სკოლას აქვს ვებ-გვერდი - http://cisakari.ge/, რომელზეც განთავსებული ინფორმაცია მწირია, საჭიროებს შევსებასა და განახლებას. სკოლა მუშაობს ამ ხარვეზის გამოსწორებაზე. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ხშირად განხორციელდეს ვებ-გვერდის განახლება და ასევე, ვებ-გვერდზე განთავსდეს ყველა საჭირო სასკოლო დოკუმენტაცია. საკომუნიკაციო მიზანს ემსახურება სკოლის ელ-ფოსტაც: cisakari@mail.ru
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებგვერდი http://cisakari.ge/ • სკოლის ელ-ფოსტა cisakari@mail.ru • კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში განთავსებულია ცეცხლმაქრები, მოწყობილია სახანძრო ონკანი. სკოლაში შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელშიც უსაფრთხოების სხვა მექანიზმებთან ერთად მოცემულია სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, სახანძრო ჯგუფის შემადგენლობა და მათი ფუნქციები როგორც მშვიდობიან, ასევე ექსტრემალურ პირობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საევაკუაციო გეგმები შემუშავებულია სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ და გამოკრულია განსაზღვრულ ადგილებში. სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მიხედვით საგანგებო შტაბის ფარგლებში შექმნილია საევაკუაციო ჯგუფი, მოცემულია ჯგუფის უფროსის ფუნქციები მშვიდობიან და ექსტრემალურ პირობებში
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან	სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი განათლებით ექიმია და ის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ითავსებს სკოლის ექიმის ფუნქციებს. სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სამედიცინო ინვენტარით: სამედიცინო ტახტით, სამედიცინო კარადით, მაცივრით, ხელსაბანით, მაგიდითა და სკამით. კაბინეტში არის პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები. ექიმმა წარმოადგინა მოსწავლეთა მიმართვიანობის აღრიცხვის წიგნი. სკოლას შემუშავებული აქვს „ექიმის დებულება“ - ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომელშიც აღწერილია: ზოგადი დებულებები, ექიმის უფლებები და მოვალეობები, ექიმის ვალდებულებები, დასკვნითი დებულებები. სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მიხედვით საგანგებო შტაბის ფარგლებში შექმნილია სამედიცინო რეაგირების ჯგუფი, მოცემულია ჯგუფის უფროსის ფუნქციები მშვიდობიან და ექსტრემალურ პირობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ექიმის დებულება; • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებას, ასევე, უზრუნველოფენ დირექცია და მორიგე მასწავლებლები. შესასვლელთან ყოველთვის იმყოფება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მშობლები, გასაუბრებისას, განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ სკოლის უსაფრთხო გარემოს შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუირება; • ვიზუალური დათვალიერება; • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მთავარ შესასვლელზე დაყენებულია უსაფრთხოების 2 კამერა. ამ კამერების ხედვის არეალშია სკოლის შენობებში სხვა შესასვლელებიც. მათი ტექნიკური მახასიათებლები შეესაბამება მოთხოვნილ პარამეტრებს. გარდა ამისა, სკოლის შიდა, სივრცეს აკონტროლებს 7 კამერა, კამერების გამოსახულებები აისახება მონიტორზე, დირექტორის კაბინეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კამერების შესყიდვის დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი სკოლის წესდება, თანამდებობრივი ინსტრუქციების განმსაზღვრელი დოკუმენტები, შინაგანაწესი, სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები, საქმისწარმოებისა და ბიბლიოთეკის დებულებები,.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის წესდება; • სკოლის შინაგანაწესი; • თანამდებობრივი ინსტრუქციები; • დებულებები’
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია 2016-2022 სასწავლო წლების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და 2019-2020 ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. ორივე გეგმა ითვალისწინებს მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. ექვსწლიან გეგმაში განვითარების სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის არის მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, რომელიც გულისხმობს სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, სასწავლო თვალსაჩინოებების განახლებას და საბიბლიოთეკო ფონდის შევსებას. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მითითებულია აქტივობა, პასუხისმგებელი პირი და აქტივობის განხორციელების პერიოდი. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულებას, ისევე როგორც ყველგან, ხელი შეუშალა პანდემიამ, რასაც სკოლა გაითვალისწინებს სამომავლოდ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა; • 2019-2020 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალოებები გაწერილია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ საქმისმწარმოებლის თანამდებობრივ ინსტრუქციაში. იგი: • აწარმოებს სკოლის მოსწავლეთა ბრძანებების ანბანურ წიგნს; • აწარმოებს შემოსული და გასული კორესპოდენციების რეგისტრაციას, დანიშნულებისამებრ გადაცემა/დაგზავნას; • აწარმოებს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვას სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (Eschool.emis.ge); • პასუხისმგებელია, აცნობოს დირექტორს შემოსული კორესპოდენციების შესახებ; • გასცემს ინფორმაციას სკოლაში შემოსული კორესპოდენციების შესრულებასა და გასული კორესპოდენციების დაგზავნის მდგომარეობაზე. სკოლაში წარმოებულია: ბრძანებების რეგისტრაციის ჟუნალი, შემოსული და გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, მოსწავლეთა ანბანური ჩაწერის წიგნი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. კორესპოდენციები დაცულია შესაბამის საქაღალდეებში
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბრძანებების რეგისტრაციის ჟუნალი; • შემოსული და გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჟურნალი; • მოსწავლეთა ანბანური ჩაწერის წიგნი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	*2.2 სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ გამოჯნოს დაწყებითი საფეხურის სველი წერტილები სქესის მიხედვით;* *2.5 ხშირად განხორციელდეს ვებ-გვერდის განახლება და ასევე, ვებ-გვერდზე განთავსდეს ყველა საჭირო სასკოლო დოკუმენტაცია.*
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა-ლიცეუმი"ცისაკარის" ადამიანური რესურსი სასწავლო გეგმით გასაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისია. დაწესებულებაში 33 თანამშრომელია. აქედან 24 პედაგოგია, 12 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი: დირექტორი, დირექტორის 2 მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმის მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მზარეული, 2 დამლაგებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადმინისტრაციიდან 3 წარმომადგენელი ამავე დროს მასწავლებელიცაა - დირექტორის ორივე მოადგილე და ბუღალტერი. ავტორიზაციით მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია **130-ით**. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავს 104 მოსწავლე, ამ რაოდენობაში არ ითვლება მიმდინარე წელს კურსდამთავრებულები და მომავალი წლის პირველკლასელები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დანართი 9 - შპს სკოლა-ლიცეუმ „ცისაკარის“ პერსონალის მონაცემები, (1 ფურცლად); • დანართი 10 - შპს სკოლა-ლიცეუმ „ცისაკარის“ მოსწავლეთა მონაცემები, (3 ფურცლად)
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	24
მოწვეული/მაძიებელი	1
პრაქტიკოსი მასწავლებლი	3
უფროსი მასწავლებლი	19
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პედაგოგები შერჩეული არიან სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის პედაგოგთა კვალიფიკაცია, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეესაბამება საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესახებ" და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. შპს სკოლა-ლიცეუმ"ცისაკარის" 23 პედაგოგიდან 21 ჩართულია „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“, მათ შორის 19 უფროსი მასწავლებელია და 2 პრაქტიკოსი. სკოლას ჰყავს, ასევე, 1 მოწვეული მასწავლებელი (რელიგიების ისტორიისა და კულტურის მასწავლებელი, რომელსაც დამთავრებული აქვს სასულიერო აკადემია), ხოლო 1 მასწავლებელს (ისტორია, სამოქალაქო განათლება) არ აქვს სტატუსი (იხ. დანართი 11), თუმცა ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა, რაც დასტურდება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობით, გარდა ამისა დირექციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მასწავლებელი სწავლობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 60 კრედიტიან პროგრამაზე, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პირადი საქმეები; • ხელშეკრულებები; • კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები; • პროფესიული განვითარების სქემაში მონაწილეობა (www.eschool.emis.ge). • დანართი 11 - მასწავლებელთა მონაცემები, (ერთ ფურცლად).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესში შემუშავებულია თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესი, რომლის მიხედვითაც მასწავლებლები მიიღებიან კონკურსის წესით, სხვა თანამშრომლები - დირექტორთან გასაუბრებით. სკოლაში მიღებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თანამშრომელთან ფორმდება ხელშეკრულება და დირექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. შინაგანაწესით განსაზღვრულია დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც უნდა წარმოადგინოს პირმა სამსახურში მიღებისას. თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულების საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები. შინაგანაწესში ასევე განსაზღვრულია წახალისების ფორმები და პირობები. წახალისების გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი. ერთ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს წახალისების რამოდენიმე ფორმა. დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი. განსაზღვრულია დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლები, ვადები, პირობები, დისციპლინური სახდელის დადების დაუშვებლობის პირობები, ვადაზე ადრე მოხსნის პირობები, დისციპლინური გადაცდომებისა და სახდელების სახეები. დისციპლინური სახდელები შეიძლება დაეკისროს არარიგითობით, დისციპლინური გადაცდომის სახისა და სიმძიმის მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს სკოლა-ლიცეუმ "ცისაკარის" შინაგანაწესი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა-ლიცეუმ "ცისაკარის" დირექტორს სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული აქვს თერთმეტთვიანი ხელშეკრულება (სექტემბრიდან ივლისის ჩათვლით). ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ანაზრაურების ოდენობა, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. ხელშეკრულებების კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობის მიზნით სკოლამ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნები და ხელშეკრულებებში ასახოს: • ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; • ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; დაკონკრეტდეს სამუშაო ადგილი, რადგან ხელშეკრულებაში მხოლოდ თბილისია მითითებული, ასევე, დაკონკრეტდეს საგანი, რომელიც უნდა ასწავლოს დასაქმებულმა, რადგან მხოლოდ პედაგოგია მითითებული. მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებში დაემატოს დამსაქმებლის მოვალეობები; სხვადასხვა დასაქმებულთან გაფორმდეს ხელშეკრულების შესაბამისი ფორმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულობები; • თანამშრომლების პირადი საქმეები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა-ლიცეუმ ცისაკარს შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები 2019-2020 სასწავლო წლისთვის. კერძოდ, მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კვლევის საფუძველზე შექმნილია ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების გეგმა. გეგმის მთავარი მიმართულებაა: პედაგოგთა პროფესიული განვითარება. სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი და შექმნილია შესაბამისი დებულება. ვიზიტის დროს გავეცანით შესაბამისს დოკუმენტებს, კერძოდ: პედაგოგთა გაკვეთილზე ურთიერთდასწრებისა და გაკვეთილის შეფასების ფორმები, თვითშეფასების, პედაგოგთა პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმები. კათედრის სხდომებზე განხილული ურთიერთთანამშრომლობის საკითხები. დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ პედაგოგები ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას, ეცნობიან სიახლეებსა და ახალ მეთოდურ ლიტერატურას. რეკომენდაცია: სასურველია - • გეგმაში წარმოდგენილი იყოს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ისეთი მიმართულებებიც, როგორიცაა დამრიგებელთა პროფესიული განვითარება, ან სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარება; • უფრო დაკონკრეტებული იყოს გაუმჯობესების გზები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დოკუმენტით - „დაწესებულების ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების გეგმა“; • გაკვეთილზე პედაგოგთა ურთიერთდასწრების ფორმები; • პედაგოგთა განვითარების თვითშეფასების ფორმები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მშობლებმა გასაუბრებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეს დაცულობასა და მშვიდ მყუდრო გარემოს შესახებ. მშობლებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრებაში და რაიმე საერთო სასკოლო გადაწყვეტილების მიღებაში დააფიქსირონ საკუთარი აზრი. პედაგოგებმა დაადასტურეს სკოლის მყუდრო, დაცული ატმოსფეროს შესახებ მშობლების მიერ გმოთქმული მოსაზრებები, ისაუბრეს სკოლის ფორმალურ და არაფორმალურ განათლების მიზანდასახულობაზე, ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ ბევრ მოსწავლეს ისეთი შესაძლებლობები აღმოუჩინა სკოლამ, რომლის შესახებ თავად მშობელმაც არ იცოდა. სკოლაში ხშირად ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომელშიც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი იღებს მონაწილეობას, რაც მათ საშუალებას აძლევს, გამოავლინონ თავის შესაძლებლობის მაქსიმუმი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	პედაგოგთან და მშობლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	*3,4 ხელშეკრულებებში ჩაიწეროს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნები - შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები“* *3,5 ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ისეთი მიმართულებებიც, როგორიცაა დამრიგებელთა პროფესიული განვითარება, ან სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარება;*
რჩევები:	
ხარვეზები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

- დანართი #1 - პედაგოგიური საბჭოს ოქმი #3 და #4 (4 გვერდი);
- დანართი #2 - სკოლის საათობრივი ბადე (2 გვერდი);
- დანართი #3 - მე-7 კლასის საკლასო ჟურნალის გვერდების ქსეროასლები (30 გვერდი);
- დანართი #4 – „სტანდარტზევით მომსახურების სრული პაკეტი“ (1 გვერდი);
- დანართი #5 - შემაჯამებელ დავალებებზე განმავითარებელი შეფასების ნიმუშები (5 გვერდი);
- დანართი #6 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან -, (ორ ფურცლად);
- დანართი #7 - შიდა აზომვითი ნახაზი - (რვა ფურცლად);
- დანართი #8 - საკადასტრო გეგმა - (ერთ ფურცლად).
- დანართი #9 - შპს სკოლა-ლიცეუმ „ცისაკარის“ პერსონალის მონაცემები, (1 ფურცლად);
- დანართი #10 - შპს სკოლა-ლიცეუმ „ცისაკარის“ მოსწავლეთა მონაცემები, (3 ფურცლად)
- დანართი #11 - მასწავლებელთა მონაცემები, (1 ფურცლად);
- დანართი #12 - სკოლის დირექტორის ბრძანება ავტორიზაციის ჯგუფთან სამუშაოდ პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ, (1 ფურცლად).

ქ. თბილისი 04.08.2020

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 48

48

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.